წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N16

ქ.წალენჯიხა 29 აგვისტო 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია, დარეჯან დადიანი, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 13:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა მარინა კალანდიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათავლისწინებულ „სხვადასხვა“ საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N43).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N15დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მეზონია, მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულიჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული მომხსენებელი: მერაბ შონია , გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

6.სხვადასხვა.

მოისმინეს:1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი–4 , მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N27) .

მოისმინეს: 2 . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N15დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ .

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი–3 , მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, კახაბერ ციმინტია)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N28) .

მოისმინეს: 3 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი –3, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, კახაბერ ციმინტია)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N44)

მოისმინეს: 4 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მ/შ მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი –არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N45)

მოისმინეს:5 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულიჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მ/შ მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N46)

სხვადასხვა 6 :

ა) საკრებულოს თავმჯდომარის თემურ ღვინჯილიას ინფორმაცია საკრებულოში წარმოდგენილ პეტიციებთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საკრებულოში წარმოდგენილ პეტიციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პეტიციებიდან 3 პეტიციაზე ა) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიური მოვლის ხარჯების ოდენობის განსაზღვრა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება"-ის შესახებ, ბ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფლებს (ჯგალი და მედანი) შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია"-ის შესახებ, გ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მდინარე ჭანისწყალის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაგვიანების ამკრძალავი ნიშნების მოწყობა და აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფა" -ის შესახებ, საკრებულოს კომისიების ერთობლივ სხდომაზე

მიღებულიქნა გადაწყვეტილება საკითხების მიზანშეწონილობის და ერთი თვის ვადაში, პეტიციების შესახებ, შესაბამისი კომისიების მიერ დასკვნასთან ერთად, განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენის თაობაზე.

რაც შეეხება პეტიციას "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე კანალიზაციის აუზის მოწყობა"-ის შესახებ" თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა: გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარეობს მუშაობა კანალიზაციის ავზის და სეპტიკის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგებისათვის გამოცხადებულია ტენდერი და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება, კომისიების ერთობლივ სხდომაზე მიღებულიქნა გადაწყვეტილება პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიების ერთობლივ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

საკრებულოს თავმჯდომარის თემურ ღვინჯილიას ინფორმაცია პეტიციებთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ბ) მარინა კალანდიას განცხადების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მარინა კალანდიამ აღნიშნა რომ ქ.წალენჯიხის სხვადასხვა ქუჩებზე მიმდინარეობს მოასფალტება ხოლო რაც შეეხება დადიანის ქუჩას იქ არანაირი სამუშაო არ ჩატარებულა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 აგვისტო 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N43

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 29 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N15დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია,
მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულიჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული მომხსენებელი: მერაბ შონია ,
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

6.სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2016 წლის 29 აგვისტო

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენის, ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესი (დანართი №1);

ბ) ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №2).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

დანართი №1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი შემუშავებულია ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების, ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილების, სხვა მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე და განსაზღვრავს ამ წესის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის (შემდგომში - გამგებლის წარმომადგენელი) მიერ, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის პროცედურებს, ვადებსა და სამართლებრივ პირობებს.

მუხლი 2. გამგებლის წარმომადგენლის ფუნქციები და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი აქტები

1.გამგებლის წარმომადგენლის ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები განისაზღვრება ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებისა და ამ წესის შესაბამისად.

2. გამგებლის წარმომადგენელი:

ა) საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში მომსახურებას უწევს პირებს, რომლებიც მიმართავენ მას წერილობით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში (ავადმყოფობის ან ადგილზე არყოფნის შემთხვევაში) ასევე ზეპირი ფორმით და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით (პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი) თუ პიროვნება გამგებლის წარმომადგენლისათვის ცნობილია ან შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა ოქმის შედგენის მოქმედების ჩაწერა ვიდეო ფაილის სახით;

ბ) ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენის მიზნით გამგებლის წარმომადგენელი: უფლებამოსილია შეადგინოს შესაბამისი ოქმი ხელმომწერი პირის გარდა, არანაკლებ ორი მოწმის თანდასწრებთ, რომელიც ხელს აწერს ოქმს; ამოწმებს მომთხოვნი პირისა და მოწმეთა ვინაობას, ფაქტობრივი მდგომარეობის ნამდვილობის შესაძლებლობის ფარგლებში; ადგენს ოქმის შედგენის მონაწილე (განმცხადებელი, მოწმე) ფიზიკური პირის პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით (მოქალაქის პასპორტი/პირადობის მოწმობა/აიდი ბარათი).

3.თუ გამგებლის წარმომადგენელს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებაში, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ეჭვს იწვევს, ვალდებულია უარი თქვას ოქმის შედგენაზე.

4.გამგებლის წარმომადგენელი ვალდებულია ოქმის შედგენისას მონაწილეებს განუმარტოს ოქმის შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები. განმარტება შეიძლება ატარებდეს ზეპირ ხასიათს და იგი შეიძლება არ აისახოს ოქმში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.ოქმში ასახული უნდა იყოს, როგორც მომთხოვნი პირის, ასევე მოწმეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი).

6.გამგებლის წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მოწმეთა მიერ ცრუ დამოწმების ფაქტის დადგენის შემთხვევაში.

7.გამგებლის წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) უფლებამოსილების შესასრულებლად გამოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ცნობები და დოკუმენტები ადმინისტრაციული ორგანოებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;

ბ) უფლებამოსილების შესრულების პროცესში შესაბამისი ოქმის შედგენისას დაეყრდნოს მოწმეთა ჩვენებას;

გ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.

8.გამგებლის წარმომადგენელი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ გამგეობის დებულებით და სხვა მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 3. ცნობა საქონლის ადგილწარმოშობის ფაქტის დადასტურების თაობაზე

1. საქონლის ადგილწარმოშობის თაობაზე ცნობა შეიძლება იყოს როგორც ხე-მცენარეების, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, შინაური ცხოველებისა და ფრინველების შესახებ.

2. ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა გაიცემა „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების შესაბამისად, საკარმიდამო (კერძო საკუთრების) მიწის ნაკვეთში მოჭრილი ხის (ხეების) თაობაზე მისი საშეშედ ან სამასალედ რეალიზაციისათვის შემდგომი გამოყენების მიზნით.

3. ცნობაში მითითებული უნდა იყოს მისი გაცემის საფუძველი-შესაბამისი დოკუმენტის ან აქტის ნომრის გამოცემის თარიღისა და გამომცემი ორგანოს მითითებით.

4. ცნობის მოქმედების ვადა საქონლის ადგილწარმოშობის თაობაზე განისაზღვრება მისი გაცემიდან:

ა) ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის თაობაზე არაუმეტეს 30 დღით;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, შინაური ცხოველებისა და ფრინველების ადგილწარმოშობაზე არაუმეტეს 7 დღით.

5. ცნობა გაიცემა გამგებლის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმების შესაბამისად.

6. ცნობა გაიცემა ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი აქტის საფუძველზე ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ცნობა პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების თაობაზე

1. ცნობა პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების თაობაზე გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პირი ცხოვრობს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

2. ცნობაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული თარიღი, საიდანაც ცხოვრობს განმცხადებელი აღნიშნულ მისამართზე.

3. ცნობაში მოქმედების ვადა არ მიეთითება, იგი განისაზღვრება ცნობის გაცემის დღით.

მუხლი 5. დოკუმენტების (ოქმი, ცნობა) შედგენის ტექნიკური წესები

1. დოკუმენტები უნდა:
ა) შედგეს მკაფიო და გამართული ენით ისე, რომ გამოირიცხოს მისი არაერთგვაროვანი განმარტება;
ბ) დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან უნდა დაიწეროს ხელით (ხელნაწერი დოკუმენტი).

2. დასაშვებია დამადასტურებელი წარწერის კომბინირებული საშუალებით (ტექნიკური საშუალების და ხელნაწერის ერთდროული გამოყენებით) შედგენა.
3. ხელნაწერი უნდა იკითხებოდეს ადვილად.

4. სიტყვათა და ტერმინთა შემოკლება დოკუმენტებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოკლება საყოველთაოდ მიღებული და ცნობილია.

5. საბუთები, რომელთა საფუძველზე შედგა ოქმი დაერთვის ოქმის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება გამგებლის წარმომადგენელთან რეესტრში.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ამ წესში ცვლილების შეტანა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი №2

ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

შედგენილი აქტები						შენ
№	შედგენის თარიღი	ოქმის №	თანამდებობა	სახელი	გვარი	
12	13	14	15	16	17	1

№	გაცემის თარიღი	ცნობის №	ცნობის გამცემი				ცნობის მიმღები			
			თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა	თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2016 წლის 29 აგვისტო

ქ. წალენჯიხა

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის 29 ივლისის **№15** დადგენილებაში (www.matsne.gov.ge) 01/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.104.016161) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. გამგებლის წარმომადგენელის უფლება-მოვალეობები

1. გამგებლის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე,რომელსაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი

2. გამგებლის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებებს ანხორციელებს მუნციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში და მის სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს გამგებელი.

3. გამგებლის წარმომადგენელზე სამსახურეობრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი და იგი ანგარიშვალდებულია მის წინაშე;

4. გამგებლის წარმომადგენელი:

ა) ორგანიზებას უწევს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

გ) გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;

დ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისთვის გაცნობას;

ე) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის კავშირს გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

ვ) გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;

ზ) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;

თ) ვალდებული პერიოდულად დადგენილი ფორმით გამგებელს წარუდგინოს ინფორმაცია:

თ.ა) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;

თ.ბ) დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ;

თ.გ) იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;

თ.დ) ჩასახლებული დევნილების რაოდენობის შესახებ, მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

თ.ე) სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისგან დამცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ი) მონაწილეობს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ, ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისთვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს, ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას;

კ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის გამოკითხვასა და სახალხო განხილვების ჩატარებას. საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს სამუშაო ჯგუფის (ჯგუფების) შექმნის თაობაზე;

ლ) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურისა და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს;

მ) გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელშეწყობის მიზნით მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-სასწავლო შეკრების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

ნ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

ო) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

პ) გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. გამგებლის წარმომადგენელს აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკი მუნიციპალიტეტში შემავალი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდების აღნიშვნით.

6. ბეჭდის გამოყენებისას ბეჭდის ანაბეჭდი დოკუმენტს დაესმევა იმგვარად, რომ ტვიფრმა მოიცვას ხელმომწერის თანამდებობისა და ხელმომწერის ადგილი.".

ბ) დებულებას დაემატოს მე-14 [1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14[1]. საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობის გაცემის წესი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობების ფორმებს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი. ცნობა გაიცემა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელით.

2. ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია აწარმოოს გაცემული ცნობების რეესტრი და შეინახოს გაცემული ცნობების ასლები".

გ) დებულების 30-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 30[1] – 30[3] მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 30[1]. დასახლების საერთო კრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

1.ინფორმაცია დასახლების საერთო კრების (შემდგომ-საერთო კრება) მოწვევის შესახებ ინიციატივის, საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის, საერთო კრების დღის წესრიგის, მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ქვეყნდება პროაქტიულად ან/და საჯაროდ ცხადდება;

2.საერთო კრების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ უფლებამოსილი მოხელის/ სამსახურის მიერ.

მუხლი 30[2].დასახლების საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის საკითხებში მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილება

დასახლების საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის საკითხებში მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) დასახლების საერთო კრების რჩეულის არჩევნების ბიულეტენის ფორმის დამტკიცება;

ბ) ამომრჩეველთა სიის ფორმის დამტკიცება;

გ) მუნციაპლაიტეტის გამგეგლის გრძანებით საერთო კრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის (სტრუქტურული ერთეულის) განსაზღვრა.

მუხლი 30³. საერთო კრების ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა

მუნციპალიტეტის გამგებელი საინიციატივო ჯგუფის ან რჩეულის მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს გრძანებას საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველოფის შესახებ. ".

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აგვისტო 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61–ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 36² მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად,

1.დაინიშნოს გიორგი ლუკავა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ;

2. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N96 განკარგულება;

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აგვისტო 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი, ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის, 122–ე მუხლის მე–6 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22–ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს (პირდაპირი განკარგვის წესით) შპს ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორიას" (საიდენტიფიკაციო N242739961; იურ. მის. ქ. ჯვარი სტალინის ქ. N27) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში, ათი წლის ვადით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქ. ჯვარი, სარალიძის ქუჩაზე მდებარე 19,98 კვმ არასაცხოვრებელი ფართი /კN47.14.35.062.01/002/ - ღირებულებით 2500 ლარი;

ბ) ქ. ჯვარი, სარალიძის ქუჩაზე მდებარე 19,32 კვმ არასაცხოვრებელი ფართი /ს/კ N47.14.35.062.01/003/- ღირებულებით 2000 ლარი;

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აგვისტო 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №46

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიცი–პალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №67განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდე–ქსი" 61-ე მუხლის , საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63–ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილიქნეს ცვლილება, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯე–ტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №67 განკა–რგულებით დამტკიცებულ დანართში:

„ფსიქიურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამის"-მუხლი „პროგრამის აღწერილობა"- პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 37 ბენეფი–ციარზე. ბენეფიციარის შერჩევა ხდება სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის მონაცემების გათვალისწინებით. ბენეფიციართა სიაში გარკვეული ცვლილებების გასათვალისწინებლად პერიოდულად სია შეჯერდება აღნიშნულ დისპანსერთან";

2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია